ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №2675831

ნომერი: AR1414315

თარიღი : 17.06.2016

გაცემის თარიღი : 07.07.2016

გაცნობის თარიღი : 26.07.2017

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ლესელიძე , N 29 , (ნაკვ.048/024) ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გიორგი ქურციკიძე პ/ნ 01015018332
- თბილისი კრწანისის ქ. N 7ა ბ. 17

ნომენკლატურა :

- მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოები (ექსტერიერისა და ინტერიერის სარესტავრაციო, სარემონტო და გაწმენდის სამუშაოები)
- II კლასი
- ძეგლზე ჩასატარებელი სამუშაოები
- ესკიზის წინასწარი შეთანხმება

"კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონის, „კულტურული მემკვიდრეობის ძეგლზე სამუშაოებისა და არქეოლოგიური სამუშაოების ნებართვის გაცემასთან დაკავშირებული ღონისძიებების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 26 მარტის N137 დადგენილების, ,,საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსგან ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისთვის უფლებამოსილების დელეგირების თაობაზე'' ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 6 აპრილის N91 განკარგულებით დამტკიცებული ადმინისტრაციული ხელშეკრულების, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტისა და საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს წარმომადგენელთაგან ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში შექმნილი კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს 2015 წლის 17 აპრილის N9-34 დადგენილების თანახმად ქ. თბილისში, ლესელიძის ქ. N29–ში (ძეგლი) სასტუმროს წარმოდგენილი ესკიზის წინასწარ შეთანხმების საკითხი განხილული იქნა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტისა და საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტორს წარმომადგენელთაგან ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში შექმნილი კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოზე (ოქმი N24, 23.06.2016 წ), რომლის გადაწყვეტილების საფუძველზეც აღნიშნულ საკითხს ეთქვა უარი. რეკომენდაცია: ,,წარმოდგენილი პროექტის მოცულობა სრულიად შეუსაბამოა ლესელიძის ქუჩის ისტორიულად ჩამოყალიბებული გარემოსა და მასშტაბისთვის. შემცირდეს მოცულობა. ესკიზით წარმოდგენილი კორპუსული ნაგებობა საჭიროებს დანაწევრებას. წარმოდგენილი იქნეს ფოტომონტაჟი ობიექტის უკანა მხრიდან". სამსახურმა გაითვალისწინა საბჭოს გადაწყვეტილება და მიზანშეწონილად მიიჩნია, რომ განმცხადებელს, მოქ. გ. ქურციკიძეს უარი უნდა ეთქვას თხოვნის დაკმაყოფილებაზე.

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

ვბრძანებ

უარი ეთქვას ქ. თბილისში, ლესელიძის ქ. N29–ში (ძეგლი) სასტუმროს წარმოდგენილი ესკიზის წინასწარ შეთანხმებას.
რეკომენდაცია: წარმოდგენილი პროექტის მოცულობა სრულიად შეუსაბამოა ლესელიძის ქუჩის ისტორიულად ჩამოყალიბებული გარემოსა და მასშტაბისთვის. შემცირდეს მოცულობა. ესკიზით წარმოდგენილი კორპუსული ნაგებობა საჭიროებს დანაწევრებას. წარმოდგენილი იქნეს ფოტომონტაჟი ობიექტის უკანა მხრიდან.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.